განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაუმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
სადოქტორო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები’

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ-საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტი

შეფასებისთარიღ(ებ)ი:8.02.2019

საბოლოო დასკვნის წარდგენის თარიღი:19.02.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ტექნოლოგიები
განათლებისსაფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი აგრონომიაში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან კინწურაშვილი-სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჯაფოშვილი- ა(ა)იპ- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა კიკნაძე- შპსკავკასიის უნივერსიტეტი,სტუდენტი

აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფის დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას „აგრარული ტექნოლოგიები“ აკრედიტაციის საბჭომ 2014 წლის 25 თებერვლის N47 გადაწყვეტილების საფუძველზე მიანიჭა აკრედიტაცია. პროგრამამ მოდიფიცირება განიცადა და ცვლილებები განხორციელდა სტუ-საკადემიურისაბჭოს 2016 წლის 19 მაისის №2005 დადგენილებითა და სტუ-საკადემიურისაბჭოს 2018 წლის 2 აპრილის № 01-0504/95 დადგენილებით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“ შემუშავებულია აგრონომიის დარგში აღიარებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებების საფუძველზე დაყრდნობით და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით და მოიცავს 180 კრედიტს. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება დოქტორანტისთვის განკუთვნილი როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (ექვსი სემესტრი). პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტისათვის განსაზღვრულია 60 კრედიტი – 35 კრედიტი სასწავლო კურსები, 25 კრედიტი – 2 თემატური სემინარი, ხოლო კვლევითი კომპონენტისთვის - 120 კრედიტი, კოლოკვიუმი 1 და კოლოკვიუმი 2 – 60 კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი.

პროგრამის აქტუალურობას განაპირობებსმისი შინაარსობრივი მხარე. კერძოდ: გლობალური დათბობის შედეგად კლიმატის მოსალოდნელი გაუარესებით გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინება აგრარული ტექნოლოგიების სრულყოფის მიზნით.

სადოქტორო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროგრამა მოამზადებს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით აღჭურვილმაღალკვალიფიციურკადრს აგრონომიის სპეციალობით, რომელსაც შეეძლება არსებული ცოდნის გაფართოება, აგრეთვე ინოვაციური მეთოდების შემუშავება და გამოყენება. ეცოდინება მცენარეთა, მათშორის, მინდვრის კულტურების მოვლა–მოყვანის უახლესი ტექნოლოგიები. შეეძლება პროდუქციის წარმოების ენერგოუსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;არსებული გენოფონდის დაცვა; პროდუქციის გაუმჯობესების თანამედროვე მეთოდებისა და მინდვრის კულტურებისათვის ადაპტირების, კვების, რწყვისა და სხვა რეჟიმების შემუშავება; მცენარეებში ნივთიერებათა და ენერგიის ცვლის ბიოქიმიური მექანიზმების დადგენა მათი ბიოლოგიური პოტენციალისამაღლების მიზნით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 8 თებერვალს (ცენტრის დირექტორის 04.02.19 წ-ის ბრძანება N96) „აგრარული ტექნოლოგიები“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და მოხდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან.ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ჩართული მხარეების აქტიურობა და დიდი ინტერესი პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და ვიზიტის ბოლოს ადმინისტრაციის მიმართ გამოთქმული იქნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიგნებები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდარტული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა დასკვნის ფორმირებაზე და დადგინდა სადოქტორო პროგრამის „აგრარული ტექნოლოგიები“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა იმ სახით, რომ პროგრამა:

1.სტანდარტის მოთხოვნებთან **მეტწილად შესაბამისობაშია.**

2.სტანდარტის მოთხოვნებთან **მეტწილად შესაბამისობაშია**

3.სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობაშია**

4.სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობაშია**

5.სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობაშია**

- **რეკომენდაციები**

  - ხელმძღვანელებმა განიხილონ ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებად პროგრამაში ჩასასმელად შემდეგი საგნები: 1. მოლეკულური გენეტიკა: ფუნდამენტური ტექნოლოგიები მცენარეთა პათოლოგიასა და ენტომოლოგიაში; 2. მავნებელთა ინტეგრირებული მართვა; 3. წრფივი სტატისტიკური მეთოდები R-ის გამოყენებით; 4. ცხოველთა და მცენარეთა მოშენების თანამედროვე მიდგომები; 5. რისკის შეფასება და ანალიზი სოფლის მეურნეობაში; 6. აგრობიომრავალფეროვნება.ასევე უნდა დაემატოს დარგობრივი ინგლისური ენა დაშვების წინაპირობის არ შეცვლის შემთხვევაში.
  - კურსები „სამეცნიეროკომუნიკაციისტექნიკა“ და „სამეცნიეროკვლევისმეთოდებიაგრონომიაში“ უნდაგაერთიანდესერთსაგნად, ხოლო „სამეცნიროკომუნიკაციისტექნიკა“ საგნიდან, სალექციოკურსები, რომლებიცგადაფარვაშია „სწავლებისმეთოდებიდაგანათლებისმენეჯმენტი“-ისსაგანთანუნდამოვიდესშესაბამისობაში.
  - საჭიროა პროგრამას გააჩნდეს უფრო მეტი დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსი
  - დოქტორანტისთვის 1 სტატიის გამოქვეყნება მაინც უნდა იყოს სავალდებულო საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ, პერ-რევიუ (Peer Review), იმფაქტ-ფაქტორიან (IF), მაღალი ციტირების (H-index)ინდექსის მქონე ჟურნალში.
  - საჭიროა ცვლილება განიცადოს სადისერტაცი ნაშრომის დაცვისთვის საჭირო სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებელ ჟურნალთა ნუსხამ, მასში წარმოდგენილი ზოგიერთი ჟურნალი, (ზოგიერთი ჟურნალიც კი არაა მაგ.: სსმმა გაზეთი „მაცნე“, ასევე „აგრარული საქართველო“და სხვ.) რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამეცნიერო ჟურნალის მოთხოვნებს აუცილებელია ამოღებული იქნას სიიდან და ნუსხა შეივსოს სხვა, დარგში მიღებული გამოცემებით.
  - სასწავლო კურსების შინაარსის გაცნობიერებისთვის სილაბუსებში სახელმძღვანელოების გარდა ლიტერატურულ წაყაროდ მითითებული იყოს სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციები , შესაბამისი საიტები.
  - სილაბუსების ძირითად ლიტერატურად გამოყენებული იქნას ქართულენოვანი სხვადასხვა ლიტერატურა.
  - რეკომენდირებულია, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები;
  - რეკომენდირებულია, გამოყენებული იქნეს ლაბორატორიული სწავლების მეთოდიც, რომელიც სასწავლო კომპონენტის ათვისების ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია;
  - სილაბუსებში მიეთითოს მხოლოდ სწავლება/სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები
  - რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში,შეფასების კონკრეტული მეთოდები განისაზღვროს სასწავლო კურსისსპეციფიკისა და გამოყენებული სწავლება/სწავლის თანამედროვემეთოდებიდან გამომდინარე, რომელთა შეფასების კრიტერიუმები იქნებანათელი და გაწერილი სილაბუსში;რეკომენდებულია, შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება და ზოგიერთი კომპონენტის დაზუსტება.
  - რეკომენდირებულია შეიქმნას მექანიზმი, რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებენ, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სასურველია მიღების წინაპირობებში ფრაზა „მხედველობაში მიიღება“,იყოსდეტალურადგანმარტებული, როგორ იქნება ეს წესი განხორციელებული.

- პროგრამის აღწერილობითი ნაწილისა და მტკიცებულებების მოცემის დროს ადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზებს,რაც ნათლად ჩანს თვითშეფასების ანგარიშში.სასურველი იყო საბოლოო დოკუმენტი გადამოწმებულიყო ჩანაწერების რელევანტურობაზე.
- პროგრამის აქტიურ დოქტორანტებს შორის არის პირი, რომელსაც არ აქვს სათანადო დარგობრივი განათლება, სასურველია მაინ აიმაღლოს კომპეტენცია მისთვის მისაღები გზით ფუნდამენტურ საგნებში: ზოგადი ბიოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა, გენეტიკა და ა.შ. სხვაგვარად შეუძლებელია მივიღოთ პროფესიონალი და თანაც დოქტორი.
- სასურველია პროგრამის სულყოფისთვის აქტიური კონსულტაციები გაგრძელდეს კოლეგებთან როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე, რაც პროგრამას გახდის უფრო დახვეწილს.
- სასურველია დოქტორანტები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა მიმდინარე სამეცნიერო აქტივობებში.
- სასურველია დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებულ ერთობლივი სტატიებიდან, ერთ-ერთი მაინც იყოს გამოქვეყნებული მისი პირველ ადგილზე ავტორობით.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადამზადდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებში
- დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმების არსებული მოდელი;
- სასურველია სწავლის დაწყებამდე სტუდენტებს მიეწოდოს ინფორმაციადა განემარტოთ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ;
- შეფასების ელექტრონული პორტალის ფუნქციონალური გაფართოება, რათა სტუდენტმა მთლიანობაში დაინახოს თავისი მიღწევები და ნაკლოვანებები.
- სასურველია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა.
- სასურველია დოქტორანტურის დებულებაში დაემატოს დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების მუხლი და შეიქმნას ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტი.
- სასურველია პროგრამაში ჩართულ პირებს, ქონდეთ აქტიური კონტაქტი და თანამშრომლობა კოლეგებთან, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, რაც მათი ბოლო დროის გამოქვეყნებული ნაშრომებიდან არ ჩანს.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

არ არის

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა გაიზარდა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანია მოამზადოს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრი აგრონომიის სპეციალობით, რომელსაც შეეძლება არსებული ცოდნის გაფართოება, აგრეთვე ინოვაციური მეთოდების შემუშავება და გამოყენება. ეცოდინება მცენარეთა, მათ შორის, მინდვრის კულტურების მოვლა–მოყვანის უახლესი ტექნოლოგიები. პროდუქციის წარმოების ენერგოუსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება; აგრარული კულტურების ასორტიმენტის განახლება; არსებული გენოფონდის დაცვა; პროდუქციის გაუმჯობესების თანამედროვე მეთოდებისა და მინდვრის კულტურებისათვის ადაპტირების, კვების, რწყვისა და სხვა რეჟიმების შემუშავება; მცენარეებში ნივთიერებათა და ენერგიის ცვლის ბიოქიმიური მექანიზმების დადგენა მათი ბიოლოგიური პოტენციალის ამაღლების მიზნით. პროგრამის მიზანი აქტუალურია,რადგან უკანასკნელ წლებში გლობალური დათბობის შედეგად კლიმატის გაუარესებამ დღის წესრიგში დააყენა აღნიშნულით გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინება და შესაბამისი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა აგრარული ტექნოლოგიების სრულყოფის გზით,რაც თავის მხრივ წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზანი გაცილებით მიღწევადი იქნება, რომ პროგრამის შინაარსში გათვალისწინებული იყოს უფრო მეტი მრავალფეროვნების დარგობრივი სასწავლო კურსები თუნდაც არჩევით ფორმატში. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ მიმართულებათა შესრულებას მოემსახურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“; ➢ „საჯაროსამართლისიურიდიულიპირის – საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისწესდებისდამტკიცებისშესახებ” საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნბრძანება; ➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაhttp://gtu.ge/AboutStu/Mission.php; ➢ აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება; ➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;

- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა.
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა პროგრამის ხელმძღვანელებმა განიხილონ ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებად პროგრამაში ჩასასმელად შემდეგი საგნები: 1. მოლეკულური გენეტიკა: ფუნდამენტური ტექნოლოგიები მცენარეთა პათოლოგიასა და ენტომოლოგიაში; 2. მავნებელთა ინტეგრირებული მართვა; 3. წრფივი სტატისტიკური მეთოდები R-ის გამოყენებით; 4. ცხოველთა და მცენარეთა მოშენების თანამედროვე მიდგომები; 5. რისკის შეფასება და ანალიზი სოფლის მეურნეობაში; 6. აგრობიომრავალფეროვნება.ასევე უნდა დაემატოს დარგობრივი ინგლისური ენა დაშვების წინაპირობის არ შეცვლის შემთხვევაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ტექნოლოგია“ ფარგლებში აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის აგრონომიაში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, მათი ქრონოლოგიური წყობა, შინაარსი და ლოგიკური თანმიმდევრობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურისაღმწერის სათანადო დონით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერთან,რადგან სასწავლო კურსების საგნობრივი ველი რამდენადმე შეზღუდულია. შესაბამისად,სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს მეტწილად ექნება პროგრამით განსაზღვრული შემდეგი კომპეტენციები:

ა)ცოდნა და გაცნობიერება – აქვს აგრარული დარგის უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც აგრარულ მეცნიერებებში ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი

სტანდარტის დონეზე); კონკრეტული მონაცემების, ტერმინოლოგიის, პროცედურების, კონკრეტულ მონაცემებთან მუშაობის ხერხების და საშულებების, წესებისა და კანონების, კლასიფიკაციებისა და კატეგორიების, კრიტერიუმებისა და მეთოდების ცოდნა. იცის ახალი ცოდნის შექმნაზე გამიზნული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

აცნობიერებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებულ ფარგლებს; მცენარეთა ზრდა–განვითარების პროცესში ბიოქიმიური რეაქციების კანონზომიერებათა და იმ ფერმენტული სისტემებისა და მოქმედების მექანიზმებს, რომლებიც განსაზღვრავს მცენარეთა ბიოლოგიურ პოტენციალს და უზრუნველყოფს პროდუქტიულობასა და მაღალ ხარისხს. მინდვრის კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიების, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების მართვის პრინციპების გაცნობიერებას.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია აგრარული ტექნოლოგიების დარგში უახლესი, ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, ორგანიზება, განხორციელება და ზედამხედველობა; ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში (კონტექსტში) მოხმარება; მოდელის მიხედვით (ნასწავლი წესის მიხედვით) დავალების, სამუშაოს შესრულება; პროცედურის განხორციელება; კანონზომიერების მოქმედების ფარგლების განსაზღვრა. მცენარეთა მავნე ორგანიზმებისაგან დაცვისა და ეკოლოგიურად უსაფრთხო ღონისძიებების შერჩევა და მისი პრაქტიკული დაგეგმვა-გამოყენება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიება და აპრობირებული მეთოდების თავისუფლად გამოყენება - კვლევის ელემენტების ჩართვით; მცენარეული პროდუქტების ხარისხის შეფასება; ნიადაგის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე მონიტორინგი და კონტროლი; ბიოტექნოლოგიური მეთოდების შემუშავება და გამოყენება; შეუძლია საწარმოო-ტექნოლოგიური და ორგანიზაციულპრაქტიკული მოღვაწეობა. ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, თარიღების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების ცნობა; სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის დამახსოვრება და გახსენება მსგავსი ან ზუსტი ფორმით; ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროდუქციის მოცულობის გადიდებისა და გადამუშავების ღონისძიებების თანამედროვე მიმართულებების განსაზღვრა; ექსპერიმენტული მუშაობის დაგეგმვის, მისი ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენება-შესრულება და შეფასება.

გ) დასკვნის უნარი - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება–განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი; მეცნიერული პრობლემის განსაზღვრის, კვლევის ამოცანისა და გეგმის ფორმულირების უნარი. ნიადაგისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ბიოქიმიური, ბიოტექნოლოგიური, აგროქიმიური კვლევის შედეგების განსჯის, კრიტიკული ანალიზისა და ობიექტური შეფასების უნარი. წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზების შედეგად სწორი და ეფექტური დასკვნის უნარი. ექსპერიმენტული კვლევის შედეგად წარმოშობილი სამეცნიერო ჰიპოთეზების ლოგიკური არგუმენტებით დამტკიცების უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი – სემინარების, კონფერენციების საფუძველზე საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებთან აგრარულ პრობლემატიკაზე ორიენტირებული ურთიერთკავშირის მუდმივი განახლების უნარი. ახალი იდეებისადმი ობიექტური დაკრიტიკულ-ანალიტიკური აზრების საზოგადოებისათვის მიწოდების, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაბელურობის უნარი. თანამედროვე კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, აგრეთვე ბიბლიოთეკებისა და სხვა საინფორმაციო წყაროების ეფექტური გამოყენების უნარი. საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვის უნარი.

ე) სწავლის უნარი – სწავლისა და სამეცნიერო–კვლევით მუშაობის პროცესში მიღებული ცოდნის საფუძველზე ახალი ინოვაციური იდეებისა და მეთოდების განხორციელებისათვის მუდმივი მზაობა.

ვ) ღირებულებები - ჩამოუყალიბდებათ კვლევის ისეთი ახალი ღირებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და ზნეობრიობას; ჰუმანურობას, ტოლერანტობასა და თანასწორობას; სინდისის, არჩევანის,

გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას; გადაწყვეტილების ობიექტურობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას; აკადემიურ თავისუფლებას, პასუხისმგებლობასა და კეთილსინდისიერებას. სწავლის შედეგების შეფასების მიზნით წარმოებდა გამოკითხვა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მასში შეტანილი იქნა სასწავლო კურსები: აგრარული ტექნოლოგიების ფერმენტული მექანიზმები და მცენარეთა იზოლირებული კულტურების ბიოტექნოლოგია, მაგრამ სასწავლო კურსების შინაარსი მხოლოდ მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას.აღნიშნულის შესავსებად საჭიროა პროგრამას გააჩნდეს უფრო მეტი დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსი. ასევე შესაბამის თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის აღწერილობითი ნაწილისა და მტკიცებულებების მოცემის დროს ადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“; ➢ სასწავლო კურსის სილაბუსები; ➢ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“. ➢ სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/I/B/info; ➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“; ➢ დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; ➢ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ➢ პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები; ➢ შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევების ანალიზი. ➢ იტერვიუ თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან ➢ ინტერვიუ დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: საჭიროა სწავლის შედეგების პროგრამის მიზანთან შესაბამისობაში მოყვანა პროგრამისთვის არჩევითი კურსების დამატებით
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის აღწერილობითი ნაწილისა და მტკიცებულებების მოცემის დროს ადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზებს,რაც ნათლად ჩანს თვითშეფასების ანგარიშში.სასურველი იყო საბოლოო დოკუმენტი გადამოწმებულიყო ჩანაწერების რელევანტურობაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		✓		

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სტუ-ში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა იქნება უზრუნველყოფილი. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებულ პირთათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღია კარის დღეების საშუალებით, საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციებით. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს აგრარული მეცნიერებების, ქიმიისა და ბიოლოგიის/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების/გამოყენებითი ბიომეცნიერებების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომის მქონე პირებს. მხედველობაში მიიღება: -სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). თუმცა დასაკონკრეტებელია:რას ნიშნავს მხედველობაში მიიღება,რათა აპლიკანტმა იცოდეს რა პარამეტრებით გაკეთდება არჩევანი კონკურსის შემთხვევაში. ამასთან სასურველია შეთავაზებული იყოს მექანიზმი, როგორ შეძლოს დარგობრივი კომპეტენციის ამაღლება საჭიროების შემთხვევაში ისეთმა დოქტორანტმა,რომელიც ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების პირობებს.ამის მაგალითია ის,რომ აქტიურ დოქტორანტებს შორის არის ისეთი სტუდენტი,რომელსაც არა აქვს პროგრამისთვის რელევანტური

დარგობრივი განათლება.

–გამოცდის შედეგები ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), რომელიც ჩატარდება საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრში.

– გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე:http://gtu.ge/; http://gtu.ge/Learning/doctorantura.php

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ–ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია”;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველიამიღების წინაპირობებში ფრაზა „მხედველობაში მიიღება“,იყოსდეტალურადგანმარტებული, როგორიქნებაესწესიგანხორციელებული.

აქტიურ დოქტორანტებს შორის არის პირი, რომელსაც არ აქვს სათანადო დარგობრივი განათლება, სასურველია მაინ აიმაღლოს კომპეტენცია მისთვის მისაღები გზით ფუნდამენტურ საგნებში: ზოგადი ბიოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა, გენეტიკა და ა.შ. სხვაგვარად შეუძლებელია მივიღოთ პროფესიონალი და თანაც დოქტორი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურისსაგანმანათლებლოპროგრამა "აგრარულიტექნოლოგიები" შედგენილიაECTSსისტემითდამოიცავს 180 კრედიტს. 1 კრედიტიმოიცავს 25 საათს, რომელშიიგულისხმებადოქტორანტისთვისგანკუთვნილიროგორცსაკონტაქტო, ისედამოუკიდებელიმუშაობისსაათები. ერთისემესტრიმოიცავს 20 კვირას, აქედანსასწავლოპროცესიმიმდინარეობს 15 კვირა.
სტუსრექტორისმიერსემესტრისდაწყებამდეგამოიცემადავებგვერზექვეყნდებაკადემიურიკალენდარი.

სასწავლოპროგრამისხანგრძლივობაა 3 წელი (ექვსისემესტრი). პროგრამაშედგებასასწავლოდაკვლევითიკომპონენტისაგან.
სასწავლოკომპონენტიმოცავსდოქტორანტისათვისგანკუთვნილ 8 სასწავლოკურსსადა 2 თემატურსემინარს (თემატურისემინარიგულისხმობსმოხსენებასდარგისშესახებ), ხოლოკვლევითიკომპონენტიმოიცავს – 2 კოლოკვიუმსა(კოლოკვიუმიგულისხმობსდოქტორანტისმიერმომზადებულისამეცნიეროკვლევითი პროექტისგანხილვასაკადემიური/სამეცნიეროჯგუფისწინაშე -სამეცნიერო-კვლევითიმუშაობისადაპროფესიულიკომუნიკაციისუნარ-ჩვევებისგანვითარების/დემონსტრირებისმიზნით) დასადისერტაციონაშრომისმომზადებასადადაცვას.

სასწავლოკომპონენტისათვისგანსაზღვრულია 60 კრედიტი – 35 კრედიტისასწავლოკურსები, 25 კრედიტი – 2 თემატურისემინარი, ხოლოკვლევითიკომპონენტისთვის - 120 კრედიტი, კოლოკვიუმი 1 დაკოლოკვიუმი 2 – 60 კრედიტი, სადისერტაციონაშრომისმომზადებადადაცვა - 60 კრედიტი.
პროგრამისაქტუალურობასგანაპირობებსგლობალურიდათბობისშედეგადკლიმატისმოსალოდნელ იმკვეთრიგაუარესება.
ამისგამოუნდაგაძლიერდესუახლესმიღწევებზედამყარებულიახალიმეთოდებისშემუშავებადათანამ ედროვეცოდნითაღჭურვილიმაღალკვალიფიციურიკადრისმომზადებააგრონომიისსპეციალობით.
პირველსემესტრში - გათვალისწინებულია 3 ძირითადისასწავლოკურსი - 15 კრედიტი, სადოქტოროპროგრამასთანდაკავშირებული 2 არჩევითისპეკურსი, რომლიდანაცირჩევენ ერთსასწავლოკურსს - 5 კრედიტი, ასევეთემატურისემინარი 1-ისმომზადება - 10 კრედიტი. ჯამში - 30 კრედიტი.
მეორესემესტრში - გათვალისწინებულია 1 ძირითადისასწავლოკურსი - 5 კრედიტი, სადოქტოროპროგრამასთანდაკავშირებული 2 სპეკურსი - 10 კრედიტი, ასევეთემატურისემინარი 2-ისმომზადება - 15 კრედიტი. ჯამში - 30 კრედიტი. მესამესემესტრში - გათვალისწინებულიაკოლოკვიუმი 1 -ისმომზადება - 30 კრედიტი. მეოთხესემესტრში - გათვალისწინებულიაკოლოკვიუმი 2 -ისმომზადება - 30 კრედიტი.
მეხუთედამეექვსესემესტრები - ეთმობასადისერტაციონაშრომისმომზადებასადადაცვას - 60 კრედიტი.
დისერტაციისდაცვაზეგასვლისუფლებაეძლევადოქტორანტს, რომლისნაშრომიარშეიცავსპლაგიატს, რომელმაცმთლიანადშეასრულასაგანმანათლებლოპროგრამითგათვალისწინებულიყველა სხვაკომპონენტი, არააქვსაკადემიურიდაფინანსურიდავალიანება, სწავლებისმეხუთესემესტრშიაკადემიურიდეპარტამენტისგაფართოებულსხდომაზეჩაატარაიმდროი სათვისმისმიერშესრულებულისამუშაოსპრეზენტაცია.
დასრულებულიდისერტაციაგადაეცემასაბჭოსგანსახილველადდოქტორანტურისსაგანმანათლებლო პროგრამისვადისამოწურვამდეარანაკლებორიდაარაუმეტესსამითვითადრე.
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა

და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია,მაგრამ შინაარსი მხოლოდ მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის იმ მიზნის მისაღევად, რომ მოამზადოს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრი აგრონომიის სპეციალობით, რომელსაც შეეძლება არსებული ცოდნის გაფართოება, აგრეთვე ინოვაციური მეთოდების შემუშავება და გამოყენება. პროდუქციის წარმოების ენერგოუსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება; აგრარული კულტურების ასორტიმენტის განახლება; არსებული გენოფონდის დაცვა; პროდუქციის გაუმჯობესების თანამედროვე მეთოდებისა და მინდვრის კულტურებისათვის ადაპტირების, კვების, რწყვისა და სხვა რეჟიმების შემუშავება საჭიროა პროგრამაში ძირითად და არჩევით კურსებად შეთავაზებული იყოს სხვა სასწავლო კურსებიც, თან პროგრამის განხორციელებისას არაა გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები. ასევე, შეიზლება პროგრამას დაემატოს დარგობრივი უცხო ენა იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება არ განხორციელდება დაშვების პირობაში ინგლისურ ენასთან მიმართებით.ეს უკანასკნელი შეიძლება განხორციელდეს პროგრამის სტრუქტურის ცვლილების ხარჯზესადოქტორო პროგრამის სრულყოფისა და განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“;სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); ➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვალი №407 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ და საქართველოსტექნიკურუნივერსიტეტში „სასწავლოპროცესისმართვისინსტრუქცია“2018 წ. ➢ დოქტორანტურისსაგანმანათებლოპროგრამისსასწავლოდაკვლევითიკომპონენტებიდამათიშეფასებისწესი http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_danarti_3_06.2018.pdf ➢ საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრისბრძანება №65/ნhttp://gtu.ge/quality/Files/Pdf/65n%20akred.pdf
რეკომენდაციები: პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა პროგრამის ხელმძღვანელებმა განიხილონ ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებად პროგრამაში ჩასასმელად შემდეგი საგნები: 1. მოლეკულური გენეტიკა: ფუნდამენტური ტექნოლოგიები მცენარეთა პათოლოგიასა და ენტომოლოგიაში; 2. მავნებელთა ინტეგრირებული მართვა; 3. წრფივი სტატისტიკური მეთოდები R-ის გამოყენებით; 4. ცხოველთა და მცენარეთა მოშენების თანამედროვე მიდგომები; 5. რისკის შეფასება და ანალიზი სოფლის მეურნეობაში; 6. აგრობიომრავალფეროვნება. ასევე უნდა დაემატოს დარგობრივი ინგლისური ენა დაშვების წინაპირობის არ შეცვლის შემთხვევაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება. დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო საგნის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით. სწავლის შედეგების სრულყოფა უფრო მეტად შესაძლებელი იქნება არჩევითი სასწავლო კურსების ხვედრითი წილის გაზრდით.

ძირითადი სპეციალობის მეტი წილი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება დოქტორანტურის აღმწერის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლასწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია აგრონომიის სფეროს აქტუალურსაკითხებზე, რომელებიცუზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სასურველია სილაბუსებში ლიტერატურულ წყაროებად მითითებული იყოსუფრო მრავალფეროვანი ლიტერატურა, სხვადასხვა თანამედროვე პუბლიკაციები და საიტები. ამასთან, ზოგიერთ სასწავლო კურსში ხდება თემების „გადაფარვა“ („სამეცნიეროკომუნიკაციისტექნიკა“; „სამეცნიეროკვლევისმეთოდებიაგრონომიაში“; „სწავლებისმეთოდებიდაგანათლებისმენეჯმენტი“) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას , მაგრამ ზოგიერთსილაბუსში მითითებული ლიტერატურა მხოლოდ მეტწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევას („მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების აგროტექნოლოგიები“),ზოგ სილაბუსში მეორდება ძირითადი ლიტერატურა. („აგრარულ კულტურატა ბიოქიმია“; აგრარული ტექნოლოგიების ფერმენტული მექანიზმები“)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- ბიბლიოთეკის კატალოგი.
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

კურსები „სამეცნიეროკომუნიკაციისტექნიკა“ და „სამეცნიეროკვლევისმეთოდებიაგრონომიაში“ უნდაგაერთიანდესერთსაგნად, ხოლო „სამეცნიროკომუნიკაციისტექნიკა“ საგნიდან, სალექციოკურსები, რომლებიცგადაფარვაშია „სწავლებისმეთოდებიდაგანათლებისმენეჯმენტი“-ისსაგანთან,უნდამოვიდესშესაბამისობაში.

საჭიროა პროგრამას გააჩნდეს უფრო მეტიდარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსი

სასწავლო კურსების შინაარსის გაცნობიერებისთვის სახელმძღვანელოების გარდა ლიტერატურულ წყაროდ მითითებული იყოს სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციები , შესაბამისი საიტები

სილაბუსების ძირითად ლიტერატურად გამოყენებული იქნას ქართულენოვანი სხვადასხვა ლიტერატურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტი მიიღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისგან.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიცსტუდენტს უზრუნველყოფს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სოციალური დახმარება, დასვენების სერვისები და სხვა).

ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც. თუმცა სასურველია სტუდენტები უფრო აქტიურად იყვნენ ცართული სხვადასხვა მიმდინარე აქტივობებში.

დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებაში, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასა და მის საჯაროდ დაცვაში, მაგრამ იმისათვის, რომ დოქტორანტურის სტანდარტი შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო (განსაკუთრებით ევროკავშირის) მოთხოვნებთან, აუცილებელია დოქტორანტებისთვის გადაიხედოს გამოქვეყნების მოთხოვნის პოლიტიკა. ვინაიდან აგრარული მეცნიერებები ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათისაა, შესაბამისად დოქტორანტისთვის 1 სტატიის გამოქვეყნება მაინც უნდა იყოს სავალდებულო საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ, პერ-რევიუ (Peer Review), იმფაქტ-ფაქტორიან (IF), მაღალი ციტირების (H-index)ინდექსის მქონე ჟურნალში. ასევე სასურველია დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული ერთი სტატია მაინც იყოს მისი პირველი ავტორობით. აღსანიშნავია ისიც, რომ სადისერტაცი ნაშრომის დაცვისთვის საჭირო სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებელ ჟურნალთა სიაში წარმოდგენილი ზოგიერთი ჟურნალი, (ზოგიერთი ჟურნალიც კი არაა მაგ.: სსმმა გაზეთი „მაცნე“, ასევე „აგრარული საქართველო“და სხვ.) არ შეიძლება სამეცნიერო ჟურნალად ჩაითვალოს და საჭიროა მათი სიიდან ამოღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
- მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიეტეტის დოქტორანტურის დებულება
- სამეცნიერო ჟურნალთა ჩამონათვალი
- ინტერვიუ დოქტორანტებთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ დამსქმელებთან

რეკომენდაციები:

დოქტორანტისთვის 1 სტატიის გამოქვეყნება მაინც უნდა იყოს სავალდებულო საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ, პერ-რევიუ (Peer Review), იმფაქტ-ფაქტორიან (IF), მაღალი ციტირების (H-index)ინდექსის მქონე ჟურნალში.

საჭიროა ცვლილება განიცადოს სადისერტაცი ნაშრომის დაცვისთვის საჭირო სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებელ ჟურნალთა ნუსხამ, მასში წარმოდგენილი ზოგიერთი ჟურნალი, (ზოგიერთი ჟურნალიც კი არაა მაგ.: სსმმა გაზეთი „მაცნე“, ასევე „აგრარული საქართველო“და სხვ.) რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამეცნიერო ჟურნალის მოთხოვნებს აუცილებელია ამოღებული იქნას სიიდან და შეივსოს სხვა დარგში მიღებული გამოცემებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დოქტორანტები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა მიმდინარე სამეცნიერო აქტივობებში. სასურველია დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებულ ერთობლივი სტატიებიდან, ერთ-ერთი მაინც იყოს გამოქვეყნებული მისი პირველ ადგილზე ავტორობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამაში აღწერილია თითქმის ყველა სწავლება -სწავლის მეთოდი: დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“ ; ევრისტიკული მეთოდი; შემთხვევების შესწავლა; გონებრივი იერიში; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი ; ანალიზის მეთოდი; სინთეზის მეთოდი; ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; .უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია აგრარული მიმართულების პროგრამის განხორციელების პროცესში, თუმცა სასწავლო კურსის სილაბუსებში მეთოდოლოგიური ნაწილი გარკვეულწილად უნიფიცირებულია, რაც უნდა ადაპტირდეს კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან;ზოგიერთი სწავლა/სწავლების მეთოდის გამოყენება არ დასტურდება სილაბუსებით(მაგ.პროექტზე მუშაობა და პრეზენტაცია), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვ. რამდენიმე კურსი მოითხოვს პრაქტიკულ/ლაბორატორიულ სწავლებაზე ორიენტირებულ მეთოდებისგამოყენებას, თუმცა არ აქვს ამისთვის დათმობილი დრო. პროგრამის სილაბუსებში მითითებულია შეფასებადი სწავლების მეთოდები, თუმცა მათი

შეფასების ხვედრითი წილი არ არის ასახული შეფასების კომპონენტებში.სასურველია აკადემიური პერსონალი უფრო უკეთ იცნობდეს სწავლება-სწავლის მეთოდებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“; ➢ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); ➢ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf ➢ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; ➢ ინტერვიუ დოქტორანტებთან ➢ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები; რეკომენდირებულია, გამოყენებული იქნეს ლაბორატორიული სწავლების მეთოდიც, რომელიც სასწავლო კომპონენტის ათვისების ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია; სილაბუსებში მიეთითოს მხოლოდ სწავლება/სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აკადემიური პერსონალი გადამზადდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით: დადებითი შეფასებებია: • (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; • (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; • (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; • (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: • (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სამეცნიერო-კვლევითიკომპონენტი/კომპონენტებისშეფასება:ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავინაშრომი; ბ) ძალიანკარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიცწაყენებულმოთხოვნებსყოველმხრივაღემატება; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიცწაყენებულმოთხოვნებსაღემატება; დ) საშუალო (bene) – საშუალოდონისნაშრომი,რომელიცწაყენებულძირითადმოთხოვნებსაკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზებისმიუხედავად,წაყენებულმოთხოვნებსმაინცაკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელიდონისნაშრომი, რომელიცვერაკმაყოფილებსწაყენებულმოთხოვნებსმასშიარსებულიმნიშვნელოვანიხარვეზებისგამ ო; ზ)სრულიადარადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიცწაყენებულმოთხოვნებსსრულიადვერაკმაყოფილებს. სტანდარტის მიხედვით, სადოქტორო პროგრამის თითოეული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის შეფასების მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და ემსახურებოდეს, როგორც სტუდენტის შედეგების კონტროლს, ასევე სწავლის პროცესში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის უკუგების უზრუნველყოფას. სასწავლო პროცესის დროს გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები არ არის მრავალფეროვანი, რაც ბუნდოვანს ხდის აღნიშნული მიზნების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა მიიღწეოდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით და იყოს ასახული სწავლის შედეგების რუქაზე. პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს. ვიზიტისას აღნიშნული პროცედურა სტუდენტების მიერ შეფასდა გამჭვირვალე და მოქნილ მექანიზმად. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. თუმცა, არ აქვთ მკაფიო ინფორმაცია ამ

